სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევისა და სამსახურში მიღების წესი

მუხლი1. ზოგადი დებულებები

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი") პროფესიული განათლების მასწავლებლის მიღების წესი (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს და არეგულირებს პროფესიულ საგანამანთლებლო პროგრამებზე მაღალკვალიფიცირებული, სათანადო ცოდნისა და გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლის, მოძიების და შერჩევის პროცედურებს.

მუხლი 2. პროფესიული განათლების მასწავლებელი

1. პროფესიული განათლების მასწავლებელი (შემდგომში - „მასწავლებელი") შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების IV ან V დონის კვალიფიკაციის მქონე პირი, ან პირი რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება რომელიც დასტურდება სათანადო დოკუმენტაციით.
2. პროფესიული განათლების IV დონის კვალიფიკაციის მქონე პირს უფლება არ აქვს, ასწავლოს V დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.
3. მასწავლებლისთვის შესაძლებელია დადგინდეს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით (შედგომში - ,,პროგრამა") გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები.

მუხლი 3. მასწავლებლის სამსახურში მიღების პროცედურა

1. მასწავლებელის შერჩევას, მოქმედი კანონმდებლობის, წინამდებარე წესის მოთხოვნათა გათვალისწინებით და შრომის ბაზარზე მოძიებული ინფომაციის მეშვეობით, ახორციელებს უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრი (შემდგომში - „ცენტრი"), პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, ავტობიოგრაფიისა (cv) და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროცედურების შემდეგ ინიშნება გასაუბრება.
3. გასაუბრება ტარდება ცენტრის ხელმძღვანელთან, ცენტრის ხელმძღვანელის პირველ მოადგილესთან/ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან/პროგრამის ხელმძღვანელთან.
4. დოკუმეტების შესწავლის და გასაუბრების შემდეგ დგინდება მასწავლებლობის მსურველი პირის კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანასიის მოთხოვნებთან.
5. ორი თანაბარი კვალიფიკაციის მქონე პირის შერჩევისას უპირატესობა ენიჭება შესაბამისი დარგობრივი პროფილით მუშაობის გამოცდილების ხანგრძლივობას.
6. მასწავლებლის პოზიციაზე მუშაობის მსურველი პირის შერჩევის პროცედურის დასრულების შემდეგ ცენტრის ხელმძღვანელი შუამდგომლობს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულების გაფორმების მიზნით.

მუხლი 4. მასწავლებლის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტები

მასწავლებელმა ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმეტები:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) რეზიუმე (cv);

გ) შესაბამისი განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (დედნის წარმოდგენით);

დ) სერთიფიკატების ასლები დედნის წარმოდგენით (არსებობის შემთხვევაში);

ე) შესაბამისი პროფესიით მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი (შესაბამისი კვალიფიკაციის არქონის შემთხვევაში);

ვ) ორი ფოტო სურათი (3x4) და CD დისკზე ჩაწერილი ელ. ვერსია;

ზ) შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის მიხედვით მოთხოვნილი სხვა დოკუმენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 5. მასწავლებელთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება და პირადი საქმის წარმოება

1. წინამდებარე წესით გათვალისწინებული გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემოწმების ან/და კონკურსის შედეგების საფუძველზე, მასწავლებლის ვაკანსიაზე შერჩეულ პირთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება, გამოსაცდელი ვადით ან მის გარეშე, მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით.

2. თითოეულ მასწავლებელზე იხსნება პირადი საქმე, რომელშიც ინახება წინამდებარე წესის მე-4 მუხლით განსაზღვრული დოკუმენტები.

3. მასწავლებლის პირადი საქმის შენახვაზე პასუხისმგებელია ცენტრი.